



# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი \* გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

14 იანვარი  
საგზაატი  
2025 წელი  
№2 (9368)  
ფასი 40 თეთრი

## საახალწლო ღონისძიების ქრონიკა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **მითარ არბოლიძე** და მერიის წევრებთან ერთად მონაწილეობდა საახალწლო ღონისძიებაში. მან დასალაპორა ბავშვებისთვის საჩუქრები და მათთვის წარმოდგინდა საჩუქრები. მან ასევე დასალაპორა ბავშვებისთვის საჩუქრები და მათთვის წარმოდგინდა საჩუქრები.



ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოთხ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს სამედიცინო ეტლები გადაეცათ. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელმა **მიხაილ ხუციანიძემ** ბენეფიციარებს ეტლი გადასცა. ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტში ეტლის მისაღებად შემოსული ყველა განცხადება დაკმაყოფილებულია. აქცია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დახმარებით განხორციელდა.

## დააჯილდოვეს პატარა ფეხბურთელები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **მითარ არბოლიძემ**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საფეხბურთო გუნდი „თორის“ პატარა ფეხბურთელები სიგელებითა და სპორტული სუვენირით დააჯილდოვეს. მიმდინარე წელი საფეხბურთო გუნდი „თორისის“ საკმაოდ წარმატებული იყო. გუნდი არაერთი ჩემპიონატის გამარჯვებული და პრიზიორი გახდა.

## ბაკურიანის საახალწლო ღონისძიება

ვულოცავ ჩემს ბაკურიანს, ბორჯომს და სრულიად საქართველოს ახალ 2025 წელს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას! განსაკუთრებული სიყვარულით ვულოცავ საქართველოს პატარებს ახალ წელს. ვუსურვებ სურვილების ასრულებას, მშვიდობიან მომავალს, სიტბოთი და სიყვარულით აღსავსე ქვეყანაში ცხოვრებას! ახალი წელი ჩვენი ოჯახებისთვის და სრულიად საქართველოსთვის ყოფილიყო ერთობის, ერთიანობის, იმედების გამართლების, მეტი სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, ბრატაობის და წარმატებული წელი. **უკანა პატარა მითარ არბოლიძე** სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ სამსახურის უფროსებთან ერთად, რეკრეაციული პარკის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს საჩუქრად საახალწლო ნუგბარი გადასცა. სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თანამშრომლებმა წინასახალწლოდ საჭიროების მქონე ოჯახებს სასურსათო კალათები გადასცეს. სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ გუნდმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებულ ფრენბურთის ტურნირში მეთორმეტი ადგილი დაიკავა და მიიღო ფულადი ჯილდო 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხით, სააგენტოს თანამშრომლებმა გადაწყვიტეს გაეხარებინათ და ნობათით დახმარებოდნენ ხუთ ოჯახს. **ბაკურიანში** საქართველოს მთავრობის ორგანიზებით საახალწლო ღონისძიება მიმდინარეობდა. 25-იანების მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი იყო საშობაო ბაზრობა, სადაც მოსულ სტუმრებს ცხელი სასმელებითა და ტკბილეულით უმასპინძლებდნენ, ასევე წარმოდგენილი იყო მენარმეების ხელნაკეთი ნივთები. სტუმრების, განსაკუთრებით კი, პატარების განწყობაზე თოვლის ბაზუამ ელფებთან, ზღაპრის გმირებსა და ანიმატორებთან ერთად იზრუნა. მოწყობილი იყო თემატური ფოტოგადაღებების სივრცეები. საშობაო სოფელში კი პატარებს საკუთარი ხელით შექმნილი ნაძვის ხის სათამაშოების დამზადება. ღონისძიება საზეიმო ფიერვერკით დასრულდა.



## მწყემსი კათილი

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მსხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და მხეთ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნებარეს ილია მეორეს!**

თქვენო უწმინდესო, ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს, დაძაბულ და უმნიშვნელოვანეს პერიოდში მოგინათ ყოფილიყავით სრულიად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ქართველი ერის უპირველესი სულიერი მოძღვარი. თქვენი აღსაყდრებიდან გავიდა 47 წელი, რომელიც ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში უდიდესი გამოწვევებით იყო აღსავსე, იობის მოთმინებით გაუძელით ქვეყანაში შექმნილ არაორდინალურ ვითარებას, შიდა და გარე ობსტრუქციული ძალების შემოტევას, რომლებსაც სურდათ და დღესაც სურთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაშლა-გახლეჩა და საპატრიარქოს ხელში ჩაგდება. თქვენი წინდახედულობით და შორსმჭვრეტელობით წმინდად ატარეთ პირველი იერარქის მძიმე ჯვარი, თქვენი 92-წლიანი ცხოვრების მანძილზე უზარმაზარი ინტელექტუალური და სულიერი ენერჯია მოახმარეთ ქართველი ერის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შემობრუნებას დედა ეკლესიისაკენ. თქვენ ცხოვრობთ ერის ცხოვრებით, ხართ იქ, სადაც ერს ყველაზე ძალიან უჭირს. თქვენი უაღრესად დროული გადაწყვეტილება და ერის გადარჩენის უპირველესი საზრუნავი იყო ყოველი მესამე და შემდგომი ახალდაბადებულის ნათლობა. ამ კეთილშობილმა ნაბიჯმა ასობით გოგობიჩი შემატა ჩვენი ერის გენოფონდს. თქვენი ბრძნული რჩევებით და ქადაგებებით ერს აძლევთ საბრძოლველ პროგრამას, თუმცა ბევრჯერ ვერ შევისმინეთ და საკადრისად მოგვეზღო. დაუწყინარია თქვენი თავგანწირული მოქმედება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში ცხინვალში დაღუპული ქართველი ვაჟაკების გადმოსვენების საქმეში. სიამაყეა ისიც, რომ არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე რჩებით ქართველთათვის სათაყვანებელ უპირველეს პიროვნებად.



მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გაუჭირდა ქართველ ერს - განაცხადეთ, როგორც არასდროს ერის გადარჩენაში და განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარების ერთსულოვნებას და სამშობლოსათვის საკეთილდღეო საქმიანობაში ჩაბმას. თქვენი ეს ბრძნული შეგონება თითოეულმა ქართველმა გულწინად უნდა დავიხსნოთ და როგორც ჯვარი საფიცარი უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე. საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრებმა მიზნად დაისახეს თქვენი დარიგება პრაქტიკული მოქმედებებით განახორციელონ. ქართული გვარების შეკავშირება-გამთლიანებისათვის ძირითად ამოცანად დაგვისახეთ თითოეულმა გვარმა იზრუნოს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი ძლიერებისათვის და მამულის წინსვლისათვის, ეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა. სრულიად საქართველოს ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზი უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ აღსაყდრების 47 და დაბადების 92 წლის იუბილეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თქვენი ღვაწლი და კურთხევა არ მოკლებოდას ქართველ ერს.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მინამდვილად დავით მამულაძის**

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატიო მისიონარული მისია

**ბ-ნ ვიქტორი ქობია და ქ-ნ ქრისტინე სორიას.** მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს დიდა ჩვენი მზუნხარება სოფელ საბერიოში, თქვენს ოჯახში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა. ერთდროულად ხუთ შვილთან გამოთხოვება მეტად მტკივნეული და რთული გადასატანია, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ადამიანი სულიერად, მაგრამ მაინც უნდა განგამტკიცოთ რწმენამ იმისა, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს, არამედ იგი დასაწყისია მარადიული ცხოვრებისა, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ; ეს განმსოვრება კი დროებითია. აღვავლენთ ლოცვებს ემილიას, ანა-მარიას, ელენეს, ნიას და სოფიოს უკვდავ სულთათვის და შევთხოვთ უფალს, მოგანიჭოთ ნუგეში და ლოცვის ძალა. **ილია II** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და მხეთ-აფხაზეთის მიტროპოლიტი 05.01.2025

## დიდხანს იმეცხლა პატრიარქს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ნამდვილად ბედნიერები ვართ ქართველები, რომ ურთულეს ვაჟაშვილ გვყავს მწყემსი კათილი და მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული საჭეთმპყრობელი. ვუსურვებ ჩვენს პატრიარქს სულიერ სიმტკიცეს და დღეგრძელობას, რათა ჩვეულებრივ სიბრძნით, სიმშვიდით და სიყვარულით მრავალი წელი ეწინამძღვროს ქართული ეკლესიისათვის. როგორც ქართველ კაცს ამშვენებს ჩოხა, წელზე ხმალი და ქამარ-ხანჯალი, მენცრისე გმურების ტანს ანაფორა, ხელში კვერთხი და იესოს ჯვარი. მენ საქართველოს ისე ამშვენებ, როგორც რომ ტაძარს წმინდა სანთელი, მენი სიცოცხლე ყველას გვაძინებებს და გვეფინება ციდან ნათელი. ქრისტეს გზით მაგაღს - ხელში ჯვარით, უკან მოგყვება ქართველი ერი, წყვილად გაჰყვება, მზუუტავთა კვართა, ცოცხლობ და ცხოვრობ უფალის ხელით. მენ საუკუნე ვერას დაგაკლებს, რადგან მენა ხარ მესია ჩვენი ერის, მენი ლოცვები ცაში ღალადებს, მენი გალობა ცაში ღმერთს ესმის. მენი სიცოცხლე - მწყემსი კათილი იმედით ავსებს საივერიოს, იუდას შვილებს რომ არ ელირსოთ მენი გზით მაგაღს, რომ მოეერიოს. ვერც ვერასოდეს კეთილს ბოროტი, ვერ დაამარცხებს უფლის ნებითა, ყველას მოეღოს გზა გოლგოთისა, ვინც არ იცხოვრებს ქრისტეს მცნებითა, მწყემსო კეთილო - საუბრობ ღმერთთან, ერის ცოდვები მენ განვეს მხრებზე, მიჯაჭვული ხარ მენ ქართველ ერთან, ვით ამირანი - კავკასიონზე. დღეგრძელო იყავ - უფლის ნათლულო, ცოცხლად ქცეულო - რწმენის მონამედი, მენი სიცოცხლე - არს უსასრულო, ქვეყნად მეორედ - ნოეს მოსვლამდე. **ჯეჰალ ბიბილური**





